ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
კრწანისის რაიონის გამგეობა

TBILISI CITY MUNICIPALITY KRTSANISI DISTRICT ADMINISTRATION

№ 06-44/15140926
20 05 2015 წ

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს გენერალურ
დირექტორს ბატონ ნიკოლოზ ანთიძეს

ბატონო ნიკოლოზ,

ცნობილია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარი ექსკლუზიური უფლებამოსილებაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია, რომლის საფუძველზეც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებლის 2015 წლის 18 მარტის N77 ბრძანებით ქალაქ თბილისის კრწანისის რაიონში, ნარიყალას ციხესიმაგრის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით შეიქმნა საკონკურსო კომისია.

გამგეობა მიზნად ისახავს კონკურსანტების მიერ შემოტანილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა-შეფასების ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-5 მუხლის შესაბამისად, სათათბირო ხმის უფლებით კონსულტანტებად და ექსპერტებად მოიწვიოს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიყოთ სპეციალისტთა ჯგუფი, რომლებიც აქტიურად ჩაერთვებიან კომისიის საქმიანობაში. ჩვენი ერთობლივი თანადგომით კი შესაძლებელი იქნება ძეგლის კონსერვაცია-რეაბილიტაციის წარმატებით შესრულება.

პატივისცემით,

კრწანისის რაიონის გამგებელი

გიორგი კოპალეიშვილი